

#ვაქცინაუმუშაობს

COVID-19-ის საინააღმდეგო ვაქცინები კანდიდიის შერჩევის ეფექტური საშუალებაა!



გვერდითი მოვლენები:



- რეაქცია (ტკივილი, შეშუპება, შენითლება) ინექციის ადგილზე
- დაღლილობა
- შეუძლოდ ყოფნა
- ცხელება
- გულისრევა
- თავის ტკივილი
- კუნთების ტკივილი
- შემცივნება
- სახსრების ტკივილი
- ლიმფური ჯირკვლების შეშუპება (ლიმფადენოპათია)



როდის უნდა დაუკავშირდეთ ექიმს?

ვაქცინაციის შემდეგ, თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გაგიჩნდებათ კითხვები, დაუკავშირდით თქვენი ოჯახის ექიმს. შესაძლო სერიოზული გვერდითი მოვლენების გამოვლენისთანავე, დარეკეთ 112-ზე ან მიაკითხეთ უახლოეს სამედიცინო დაწესებულებას!

COVID-19 ვაქცინაცია ინდივიდუალური უფლება და საყოველთაო კანუხისმგებლობაა!

#ვაქცინაუმუშაობს
#StopCoV

StopCoV.ge; Moh.Gov.ge; NCDC.ge;
ცხელი ხაზი: 116 001; 15 05



საერთაშორისო ტრავმატოლოგიის
აქტივობების მართვის ცენტრი
საერთაშორისო ტრავმატოლოგიის
საერთაშორისო ცენტრი



საერთაშორისო კონტროლი და
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
საერთაშორისო ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE
CONTROL AND PUBLIC HEALTH



UNITED NATIONS
GEORGIA



ვაქცინაცია სწორი არჩევანია COVID-19-გან საკუთარი თავის, ოჯახისა და საზოგადოების დასაცავად!

ვაქცინაცია ნებაყოფლობითია!



ვაქცინაცია ამცირებს დაინფიცირების, ავადობისა და სიკვდილობის რისკს.



ვაქცინაცია რეკომენდებულია იმ შემთხვევაშიც, თუ COVID-19-ის დაავადება უკვე გადაიტანეთ.



პანდემიის შესაჩერებლად, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პარალელურად, აუცილებელია განაგრძოთ ნიღბის ტარება, სულ მცირე 1 მეტრიანი დისტანციისა და ხელის ჰიგიენის დაცვა.

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები



COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები რეკორდულად მცირე დროში შექმნილი, უპრეცედენტო თანამშრომლობისა და ინვესტიციების შედეგია და ის სრულად შეესაბამება უსაფრთხოების ყველა სტანდარტს.



საქართველოში ინერგება მხოლოდ ჯანმოს ან მის მიერ აღიარებული მკაცრი მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ავტორიზებული ვაქცინები, რაც ხარისხის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გარანტიაა.




COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები უკვე დაინერგა **129-ზე მეტ ქვეყანაში და 355 მილიონზე მეტი დოზა იქნა უკვე გაკეთებული.**

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების უმეტესობა ორდოზიანია

ვაქცინის მეორე დოზით აცრა ტარდება ვაქცინის პირველი დოზის მიღებიდან მინიმუმ სამი კვირის შემდეგ.

სრულყოფილი იმუნიტეტის მისაღწევად აუცილებელია გაიკეთოთ ვაქცინის ორივე დოზა.

ვაქცინის პირველ დოზაზე გამოვლენილი შესაძლო გვერდითი მოვლენები არ წარმოადგენს მეორე დოზის მიღების უკუჩვენებას. მეორე დოზის არჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ექიმი.



იზუნიტეტის გამოთვავებას დრო სჭირდება.

COVID-19-ის საწინააღმდეგო ორდოზიანი ვაქცინების უმეტესობის შემთხვევაში იმუნიტეტი ყალიბდება მეორე დოზის მიღებიდან ერთ-ორ კვირაში.

ვაქცინაციას შესაძლოა ახლდეს გვერდითი მოვლენები, რაც ნორმალურია და მიანიშნებს, რომ თქვენი ორგანიზმი გამოიმუშავებს იზუნიტეტს. ვაქცინაციის გვერდითი მოვლენები უმეტესწილად მსუბუქია და გაივლის ერთი ან ორი დღის განმავლობაში.

#ვაქცინაუმუშაობს